| დაგეხმარებით ნებისმიერი წარმომავლობის ნებისმიერი გამოცემის ნებისმიერი სირთულის კროსვორდის ამოხსნაში | ქალაქი ნიდერლანდებში 7 | ვინმესგან განთავისუფლება 11 | მონღოლთა მეფე 4 | პირფერობა 5 / არგენტინელი ფეხბურთელი 6 | ანძა 4 / გაზი 4 | იხილეთ ფოტო / ჯეინ (.....) 4 | თიხის ნაკეთობა 8 / ლატვიის დედაქალაქი 4 | ჩეხეთის დედაქალაქი 5 | ქალაქი რუსეთში 8 / მსაჯი 7 | ხვლიკი, რომელიც ფერს იცვლის 9 / საოპერო პარტია 4 | მონეტებს შეისწავლის 11 | მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი 8 / გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე 7 | ფართობის საზომი ერთ. 4 / მამალი თხა 4 / კათოლიკე მღვდელი 5 | უკრაინელი გოგონების მუს. ჯგუფი 6 / ქალაქი თურქეთში 7 | ხელოვნური მორწყვა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავშესაფარი 7 | | | | | | | | | | | | | | | |
| ცხენის ჯოგი 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| ერიხ მარია (.....) მწერალი 7 | | | | | | | | | | | | | | | |
| ის, რაც ორი ხელით იჭმევა 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| ყველაზე მაღალი ბანქო 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| იუგოსლავიის პრეზიდენტი ბროზ (....) 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| უდიდესი რუსი ძალოსანი 7 | | | | | | | | | | | | | | | |
| საუბარში წამოსროლილი სიტყვა 7 / სოფლელი 5 | | | | | | | | | | | | | | | |
| ნიკანდრო (....) 5 | | | | | | | | | | | | | | | |
| ძველი საათების ნაწილი 7 / ბრინჯის არაყი 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| სტილი 6 | | | | | | | | | | | | | | | |
| ცომის ასაფხეკი პატარა ნიჩაბი 6 / ყაზახი კლასიკოსი 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| განის დედაქალაქი 4 / (.....) დენსი 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| ჩუმად დაკვრა 5 / ფირნიში 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| საჰაერო ანუ? 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| „ნახეს (.....) მოყმე ვინმე....“ 4 / ერთგვარი ბლანკი 6 | | | | | | | | | | | | | | | |
| პაპის თავსაბურავი 5 / (....) შერვაშიძე 4 / დიდი თეფში 4 | | | | | | | | | | | | | | | |
| გასესხებული კაპიტალით მცხოვრები 6 | | | | | | | | | | | | | | | |
| წოდებათა თანმიმდევრობა 8 | | | | | | | | | | | | | | | |
| მსახიობი რიჩარდ (.....) 4 / ვრცელი ბალახოვანი ვაკე 7 | | | | | | | | | | | | | | | |
| რაიმეს შესაწევავი რკინა 4 / ბატონი კიო 5 | | | | | | | | | | | | | | | |
| (........) იპოხორსკაია პოლონელი იუმორისტი 6 | | | | | | | | | | | | | | | |



Top row clues (left to right):

1. იხილეთ ზედა ფოტო / დაბა ადიგენის რ-ნში 10
2. სიბნელე 5
3. სურინამის დედაქალაქი 10 / გვერდით მყოფი 9
4. (....)-ბადენი 5 / რომის საფეხბურთო კლუბი 5
5. სიგარეტშია 8 / იტალიელი მეკარე 6
6. წითელი პლანეტა 5
7. ახალი წელი გურიაში 7 / მწვანილი 7 / ებრაელთა რეპატრიაცია 4
8. არზაყანის ცხენი 6 / ბრმა მეფე 8
9. ზებუნებრივი ძალების რწმენა 7
10. ქალაქი რუსეთში 6 / იხილეთ ქვედა ფოტო
11. დაბალი ტანის ბუჩქისებრი მცენ–ი არე 6
12. ყურება 5 / იტალიის დედაქალაქი 4
13. სუსტი ქარი 5
14. ლითონის საფხეკი 5 / ქალის თავსაბურავი 7
15. ცხარე საკმაზი 5

Left column clues (top to bottom):

- ნიკოლოზი მოკლედ 4
- საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი 5 / მუსიკალური საკრავი 4
- (.....) გლდანელი 4
- დაკოდილი ცხენი 4 / სამგზავრო ჩანთა 4
- სოფელი ახმეტი რ-ნში 6
- (....)-ბიგვა 5 / ბანქოს ქალი 4
- მიწის გადასახადი 5
- თეფში 5 / მუცელი 7
- დაფქული მარცვლის ნარჩენი 4
- სპარტაკის და იზაურას 4 / იმპერატორის ქვეყანა 7
- ველად გაშლილი „კვარტალი“ 6
- შუშის ვიწროყელიანი ჭურჭელი 5 / ავადმყოფური ჩვევა 5
- ფუჭი 4
- უმცროსი მედიცინის მუშაკი 8 / იტალიელი დიზაინერი ჯორჯო 6
- ცისარტყელის ქალღმერთი ბერძ. მითოლ. 5
- დასვენების დღე 4 / პენალტი 6
- მალვინას მიჯნური 5
- კაენის ძმა 5 / გერმანელი მათემატიკოსი 6
- საბჭოთა ჯიპი 4 / ველური ვარდი 6
- სახელის ან გვარის პირველი ასო 8
- ნორჩი, ნედლი 5
- „ამირანის“ და „ელისოს“ 10





| სვეტის შეკითხვები (ზემოდან) | |
|---|---|
| იხილეთ ზედა ფოტო | |
| ევროპის ქვეყანა 7 | მშვილდის იარაღი 5 |
| ღვინის სათავსო 6 | |
| ორგანოს დაპატარავება 7 | ხევისბერის ვაჟი 5 |
| ამ ხაზზე სიტყვა არაა | |
| წყლის ტრანსპორტი 4 | იხილეთ ქვედა ფოტო |
| ბრილიანტის საზომი 6 | მშობელი 4; (....) გრიგოლია 4 |
| კათოლიკე მღვდელი 5 | მწერალი ჩარლზ (....) 7; თურქმენეთის პრეზ. 7 |
| ფუჩეჩი აქვს 7 | ნიგერის დედაქალაქი 6; ლარი 4 |
| საფრთხე 6 | მათემატიკური უცნობი 4 |
| გაზაფხულის ყვავილი 8 | |
| მისურის „კოლეგა“ 8 | სახალხო მეურნეობა 12 |
| მოკრივე მაიკლი 7 | |
| (....) დე ვიტო 4 | განიარაღებული ანუ? 11 |
| ალბანეთის დედაქალაქი 6 | ინდონეზიის კუნძული 4 |



| სტრიქონის შეკითხვები (მარცხნივ) | |
|---|---|
| ხის ან რკინის დიდი ჭურჭელი 5 | |
| „საიდუმლო კუნძულის“ პერსონაჟი 4 | საკუთარი ღირსებით განდიდებული 5 |
| ერთ-ერთი მუშკეტერი 7 | |
| სიმძლავრის საზომი ერთეული 4 | უფილტრო სიგარეტი 5 |
| ქალაქი იაპონიაში 8 | |
| მიმიონოს მსგავსი ფრინველი საბას მიხედვით 5 | |
| მევენახეობის ღვთაება 7 | |
| ყველაზე დიდი ტბა საქართველოში 8 | მომგებიანი ქულა ძიუდოში 5 |
| მდინარის დელფინი 4 | |
| სხვადასხვა სახეობის საქონელი 11 | |
| ქართული ანბანის მერვე ასო 4 | |
| გამოუცდელი კაცი 5 | არტისტი 8 |
| ფრე 5 | |
| მაგი 6 | გალაქტიონის ლექსი 7 |
| პატარა ძაღლი 5 | |
| სანთლის პროდუქტი 8 | |
| ანდრე (....) ჩოგბურთელი 5 | (....) ამუნდსენი 4 |
| (....) ანანიაშვილი 4 | სათუთი 4 |
| ქართული საცხენოსნო თამაში 6 | „(.....) და მშვიდობა“ 3 |
| ტბა აფრიკაში 8 | |
| რუსეთის ქალაქი 7 | |
| მტაცებელი თევზი 7 | |

|  | მიკროსკოპული არსება 8 | იხილეთ ფოტო, ჩვენი პოეტი | „მარტოობის 100 წლის“ პერსონაჟი გოგოს სახელი 9 | ოხერი 5 | სასიმინდე 5 | დადგენილი გზა 5 / რხევა 8 | ერთგვარი ფრენა 4 | კანონის აღმსრულებელი 10 | ჩვენი კინორეჟისორი ლეო (....) 6 | ვულკანი მექსიკაში 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილი თეატრში 7 | | | | | | | | | | |
| (.....) მანჯგალაძე 5 | | | | | | | | | | |
| ქალაქი კუნძულ სიცილიაზე 7 | | | | | | | | | | |
| „კოვ-ბოის“ იარაღი 4 | | | | | | | | | | |
| ხმამაღალი ცრემლდენა 6 | | | | | | | | | | |
| ფუძი 4 | | | | | | | | | | |
| საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი 5 | | | | | | | | | | |
| ალკოჰოლური სასმელი 5 | | | | | | | | | | |
| წელის სარტყელი 6 | | | | | | | | | | |
| „თეთრი ოქრო“ 5 | | | | | | | | | | |
| (....) მაკდაუელი 4 | | | | | | | | | | |
| უსწავლელი კაცი 6 | | | | | | | | | | |
| (.....) კრუტოი 4 | | | | | | | | | | |
| პატარა მგალობელი ჩიტი 6 | | | | | | | | | | |
| (....) ელიავა 3 | | | | | | | | | | |

|  | იხილეთ ფოტო | მუსიკალური ინსტრუმენტი 7 | მოკლე წერილი 6 | (....)-ბატორი 4 / წარსულში ცნობილი ესპან. ფეხბ. 10 | გერმანელი მათემატიკოსი 6 | ქალაქი ისრაელში 5 / ესპანეთის ავტ. ოლქი 7 | ერთგვარი მწვანილი 8 | ხაზს უხდება 5 / დაბა სვანეთში 7 | დიზაინერი ჯორჯო (....) 6 | (.....) შუშაკი 3 / გზავნილი 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფელი გალის რ-ნში, სადაც ოთხმხრივი შეხვედრები იმართება 10 | | | | | | | | | | |
| ებრაელთა რეპატრიაცია 4 | | | | | | | | | | |
| ვარდისებრთა ოჯახის ხილი 6 | | | | | | | | | | |
| მღვდლის სამოსი 7 | | | | | | | | | | |
| ბევრი ძროხა 6 | | | | | | | | | | |
| უდანაშაულობის საბუთი 5 | | | | | | | | | | |
| აომინი 5 | | | | | | | | | | |
| მადონას კინოროლი 5 | | | | | | | | | | |
| აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი 5 | | | | | | | | | | |
| ის, ვინც თამაშობს 8 | | | | | | | | | | |
| მსახიობი (.....) ევანსი 5 | | | | | | | | | | |
| საპყრობილე 6 | | | | | | | | | | |
| სერის „ა“-ს კლუბი 5 | | | | | | | | | | |
| მსახიობი ჩაკ (....) 6 | | | | | | | | | | |
| გამოუცდელი კაცი 5 | | | | | | | | | | |

შეგვიძლია საჩუქრად გადმოგცეთ იტალიური კროსვორდების ძველი ნომრები და უკანასკნელი ორი-სამი წლის ნებისმიერი ნომერი (სამშაბათის და პარასკევის), რომელიც თქვენს კოლექციას აკლია

## ინგლისური ენის შემსწავლელთათვის




**William Shakespeare (1564–1616) Sonnets**

**უილიამ შექსპირი**
**სონეტები**

That god forbid that made me first your slave,
I should in thought control your times of pleasure,
Or at your hand the account of hours to crave,
Being your vassal, bound to stay your leisure!

O, let me suffer, being at your beck,
The imprison'd absence of your liberty;
And patience, tame to sufferance, bide each cheque,
Without accusing you of injury.

Be where you list, your charter is so strong
That you yourself may privilege your time
To what you will; to you it doth belong
Yourself to pardon of self-doing crime.

I am to wait, though waiting so be hell;
Not blame your pleasure, be it ill or well.

* * *

(Маршак)

Избави Бог, меня лишивший воли,
Чтоб я посмел твой проверять досуг,
Считать часы и спрашивать: доколе?
В дела господ не посвящают слуг.

Зови меня, когда тебе угодно,
А до того я буду терпелив.
Удел мой - ждать, пока ты не свободна,
И сдерживать упрек или порыв.

Ты предаешься ль делу иль забаве, -
Сама ты госпожа своей судьбе.
И, провинившись пред собой, ты вправе
Свою вину прощать самой себе.

В часы твоих забот иль наслажденья
Я жду тебя в тоске, без осужденья...

* * *

ის ღმერთიც ხედავს, ვინც დამარქვა მე შენი მონა,
რომ შენს სიმშვიდეს არას ერჩის ჩემი გონება,
რომ შენი ყმობით იმ სარგებლის არ მინდა ქონა,
რომ შემდეგ შევძლო ვერაგულად გაბატონება.

ნება მომეცი, აგედევნო უკან ქარივით,
ან შენი ჩრდილის ნაკვალევზე ჩუმად ვიარო
და მოთმინებით... მორჩილებით... პატიმარივით...
შენი სილაღე მხოლოდ ფიქრში გავიზიარო.

იყავი მასთან, ვისთან ყოფნაც თავად გწადია,
დრო იქ გახარჯე, სადაც დღემდე გაქვს გახარჯული,
ვისაც ისურვებ, მას უძღვენი, რაც გაბადია
და შენი ცოდვის თავად იყავი მკაცრი მსაჯული.

ჩემთვის მადლი ხარ თუ სასჯელი, ეს სულერთია,
მე მაინც გელი!... ლოდინი კი ჯოჯოხეთია.

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა,
მაისი, 2004 წ

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-2 ტომი

**ვარისი** (ვარასი) - ფეოდალურ საქართველოში უფლებამონაცვლე ზოგადად, კერძოდ კი უფრო შორეული, როცა პირველი რიგის მემკვიდრე არ არსებობდა.
**ვარისტორი** - ნახევრადგამტარული რეზისტორი, რომლის ელექტრული წინაღობა (გამტარობა) არაწრფივად იცვლება და ერთნაირია დადებითი და უარყოფითი ძაბვის ზემოქმედების დროს.
**ვარკეთილი** – 1) („ველკეთილისაგან") სოფელი გარდაბნის რაიონში. 2) თბილისის ახალშენი, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ისანი-სამგორის რაიონში, გაშენდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. 3) თბილისის მეტროპოლიტენის სადგური მთავარ ხაზზე, სადგურ „სამგორის" შემდეგ. ექსპლუატაციაში გაეშვა 1988 წელს.
**ვარკონი** ზოლტან - უნგრელი რეჟისორი და მსახიობი (1912 - 1979 წწ).
**ვარლაამ** კალაბრიელი - ბიზანტიელი ფილოსოფოსი, ასტრონომი და მათემატიკოსი (1290 - 1348 წწ).
**ვარლაამი** - წიგნის ბეჭდვის ფუძემდებელი მოლდავეთში (დაახლოებით 1590 - 1657 წწ).
**ვარლაამი და იოასაფი** (ვარლაამი და იოასაფატი) - შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი, რომლის სიუჟეტი ბუდას ლეგენდის სანსკრიტულ რედაქციას უკავშირდება. შეიქმნა XI საუკუნეში ბერძნულ ენაზე.
**ვარლამი** - საქართველოს ეგზარქოსი 1811-14 წლებში (1762/8 - 1830 წწ).
**ვარლამოვა** ინა (ნამდვილი სახელი და გვარი კლავდია ლანდაუ) - რუსი მწერალი ქალი (1923 - 1990 წწ).
**ვარლამოვი** ალექსანდრე - რუსი კომპოზიტორი, მომღერალი, ვოკალური ლირიკის ოსტატი (1801 - 1848 წწ).
**ვარლე** ჟან ფრანსუა - საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე (1764 - 1832 წწ).
**ვარლეი** ნატალია - თეატრის და კინოს რუსი მსახიობი ქალი (დაიბადა 1947 წელს).
**ვარლენი** ლუი ეჟენ - საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1839 - 1871 წწ).
**ვარმა ბჰაგავატიჩარანი** (ბჰაგავატიჩარან ვარმა) - ინდოელი მწერალი (დაიბადა 1903 წელს).
**ვარმანდი** - ანაფორა (საბა).
**ვარმე** - კურტაკი.
**ვარმინგი** იოჰანეს ეუგენიუს - დანიელი ბოტანიკოს-ეკოლოგი და სისტემატიკოსი (1841 - 1924 წწ).
**ვარმუსი** ჰაროლდ - ამერიკელი მოლეკულარული ბიოლოგი, 1989 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ჯ.მ.ბიშოპთან ერთად (დაიბადა 1939 წელს).
**ვარნა**[1] - ქალაქი-პორტი ბულგარეთში, ვარნის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი (320 ათასი).
**ვარნა**[2] (სანსკრ.) - ძველ ინდოეთში საერთო სახელწოდება ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფისა: ბრაჰმანებისა, ქშატრიებისა, ვაიშიებისა და შუდრებისა.
**ვარნავინო** - დაბა რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის ოლქში.
**ვარნალისი** კოსტას - ბერძენი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1884 - 1974 წწ).
**ვარნეთი** - გვიანდელი ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი დაბა ასპინძის მიდამოებში.
**ვარნემიუნდე** - ქალაქ როსტოკის ავანპორტი და გარეუბანი (გერმანია).
**ვარნიაი** - ქალაქი ლიტვაში.
**ვარნიე** რეჟის - ფრანგი კინორეჟისორი (დაიბადა 1948 წელს).
**ვარნკე** ჰერბერტ - გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1902 - 1975 წწ).
**ვარნოვი** - მდინარე გერმანიაში, ერთვის ბალტიის ზღვის მეკლენბურგის უბეს.
**ვარონა** ენრიკე ხოსე - კუბის საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი (1849 - 1933 წწ).
**ვარონი** მარკუს ტერენციუს - რომაელი მწერალი და მეცნიერი, ენციკლოპედისტი (ძვ.წ.აღ.116 - 27 წწ).
**ვარპალოტა** - ქალაქი უნგრეთში, ვესპრემის მედიეში.
**ვარსაკი** - ქალაქი პაკისტანში.
**ვარსამი** - დალაქი (საბა).
**ვარსამუსე** (ვარსამუშა) - ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, სპარსელების ქვეშევრდომ იბერიელთა მთავარი.
**ვარსამფილილა** - მირონის სრნელი (საბა).
**ვარსაღი** - თურქულ-აზერბაიჯანული საგმირო ლექსი-სიმღერა. შედგება რამდენიმე ოთხსტრიქონიანი სტროფისაგან.
**ვარსიმაანი** – სოფელი დუშეთის რაიონში.
**ვარსიმაშვილი** ავთანდილ - თეატრის რეჟისორი (XX-XXI სს).
**ვარსკვლავეთი** (პოეტ.) - ზეცა.
**ვარსკვლავთმისნობა** - იგივე *ასტროლოგია.*
**ვარსკვლავთმრიცხველი** (ძვ.) - იგივე *ასტრონომი.*
**ვარსკვლავთმრიცხველობა** - იგივე *ასტრონომია.*
**ვარსკვლავი** - 1) ციური სხეული, რომელიც ღამეულ ცაზე ჩანს მანათობელი წერტილივით. 2) (გადატანით) ბედი, განგება. 3) (გადატანით) იმედი, ნუგეში. 4) ითქმის დიდად სახელგანთქმული მსახიობის, სპორტსმენის და სხვა ცნობილი ადამიანების შესახებ. 5) გეომეტრიული ფიგურა, საგანი, რომელსაც სამკუთხა შვერილები (ქიმები) აქვს.
**ვარსკვლავიანი** - 1) რაზედაც (როდესაც) ვარსკვლავებია. 2) რაზედაც ვარსკვლავია გამოყვანილი ან დამაგრებული.
**ვარსკი** (ნამდვილი გვარი ვარშავსკი-ვარსკი) ადოლფ იეჟი - პოლონეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1868 - 1937 წწ).
**ვარსქენ პიტიახში** არშუშას ძე - ქართლის მმართველი V საუკუნის 60-80-იან წლებში. ვახტანგ გორგასალმა სიკვდილით დასაჯა 482 წელს. მთავარი პერსონაჟი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებისა".
**ვარტა** - მდინარე პოლონეთში, ოდრის მარჯვენა შენაკადი (808 კმ).
**ვარტაშენი** - აზერბაიჯანის ქალაქ ოგუზის სახელი 1991 წლამდე.
**ვარტბურგი** ვალტერ ფონ - შვეიცარიელი ენათმეცნიერი, მთავარი ნაშრომი – „ფრანგული ენის ეტიმოლოგიური ლექსკონი" (1888 - 1971 წწ).
**ვარუნა** - ვედურ რელიგიაში ყოვლისმხედველი და მრისხანე ღმერთი-მსაჯული, მსოფლიო წესრიგისა და ადამიანის მორალის დამცველი, ცისა და წყლის სტიქიის ღმერთი.
**ვარუჟანი** დანიელ - სომეხი პოეტი (1884 - 1915 წწ).
**ვარუსი** პუბლიუს კვინტილიუს - რომის იმპერიის პოლიტ. მოღვაწე და მხედართმთავარი, წარმოშობით პატრიცი (დაახლ. ძვ.წ.აღ. 53 - ახ. წ. აღ. 9).
**ვარყა** - სოკოა ერთი (საბა).
**ვარყა და გოლშაჰი** - სპარსული და თურქული რომანული სიუჟეტი.
**ვარშავა** - პოლონეთის დედაქალაქი, პორტი მდინარე ვისლაზე, ვარშავის სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (1,6 მილიონი).
**ვარშავიანკა** - 1) რუსი და პოლონელი პროლეტარების პოპულარული რევოლუციური ჰიმნი. 2) პოლონეთის 1830-31 წლების აჯანყების პატრიოტული ჰიმნი.
**ვარშავის** ხელშეკრულება - ხელი მოეწერა 1955 წლის 14 მაისს ვარშავაში ალბანეთს (გამოვიდა 1968 წელს), ბულგარეთს, უნგრეთს, გდრ-ს (გამოვიდა 1990 წელს), პოლონეთს, რუმინეთს, სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის და მიზნად ისახავდა დასახელებული ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მოქმედება შეწყვიტა 1991 წლის 1 ივლისს.
**ვარშავსკი** ვლადიმირ - რუსი მწერალი, 1920 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში (1906 - 1978 წწ).
**ვარშავჩიკი** გრეგორი - რუსული წარმოშობის ბრაზილიელი არქიტექტორი (1896 - 1972 წწ).
**ვარშამანგი** - თავს სახვევი (საბა).
**ვარშანიძე** მამია - პოეტი (1916 - 1990 წწ).
**ვარშაყიანი** - საგმირო-ფანტასტიკური ხასიათის ვრცელი ქართული რომანი. XVII-XVIII საუკუნეებში სპარსულიდანაა თარგმნილი ან გადმოკეთებული.
**ვარშის** ტბა - მდებარეობს მდინარეების ომისა და პეშის სათავეებს შორის, რუსეთის არხანგელსკის ოლქის ნენთა ავტონომიურ ოკრუგში.
**ვარჩა** - სოფელი გულრიფშის რაიონში.
**ვარჩატოს** ტბა - მდებარეობს ჩრდილოეთ ურალის აღმოსავლეთ კალთასთან, რუსეთის ტიუმენის ოლქის იამალ-ნენთა ავტონომიურ ოკრუგში.
**ვარციხე** (ისტორიული ვარდციხე) - სოფელი ბაღდადის რაიონში.
**ვარცლა** - სოფელი დუშეთის რაიონში.
**ვარცლი** - 1) არს მცირე ნავი, ხოლო ცომისა ბურეჯსაცა ვარცლსა უწოდენ ნავის მსგავსებობისათვის (საბა). 2) ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი ცომის მოსაზელად.
**ვარცხნილობა** - ფორმა, რომელიც ეძლევა თმას შეკრეჭით, დავარცხნით, დახვევით.
**ვარძია** - 1) სოფელი ხარაგაულის რაიონში. 2) კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი; მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.
**ვარხანი** - სოფელი ადიგენის რაიონში.
**ვარხვი** (**Pelecanidae**) - 1) ფრინველი, ფილაკვანი (საბა). 2) წყლის გრძელნისკარტიანი დიდი ფრინველი.
**ვარხმელა** - მდინარე ტყიბულთან, ძუსის მარცხენა შენაკადი.
**ვარხუნო** – ყოფილი სოფელი თეთრი წყაროს რაიონში.
**ვარჯანაული** – სოფლები ქობულეთისა და შუახევის რაიონებში.
**ვარჯანისი** - სოფელი ქედის რაიონში.
**ვარჯი** - 1) კაცთ ქოჩორი, გინა ხეთ შვენიერი რტონი (საბა). 2) ხის განშტოებული ნაწილი პირველი ტოტებიდან კენწერომდე.
**ვარჯიში** - 1) თურქთა ენაა, ქართულად *სეფური* ჰქვიან (საბა). 2) ერთი და იმავე მოძრაობის, მოქმედების, საქმიანობის მრავალჯერ გამეორება რაიმე ჩვევის შეძენის, რისამე შესწავლის ან რამეში დახელოვნების, გაწაფვის მიზნით.
**ვასა** - ქალაქი-პორტი ფინეთში (55 ათასი).
**ვასაკა** (**Hylidae**) - 1) მწვანე მცირე მყვარი (საბა). 2) ხის პატარა მწვანე ბაყაყი.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ენციკლოპედია „დედაქალაქები“ *(დასაწყისი №297-ში)*

**მალაგა** - ქალაქი-პორტი ესპანეთში, ხმელთაშუა ზღვის პირას; შედის ანდალუსიის ავტონომიურ ოლქში. მალაგას პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (515 000 - 1991 წ).

**მალე** (**Male**) - დედაქალაქი და ერთადერთი პორტი მალდივის რესპუბლიკისა (55 000 - 1990 წ).

**მანაგუა** (**Managua**) - ნიკარაგუას დედაქალაქი, გაშენებულია მანაგუას ტბაზე. დაარსებულია XVI საუკუნეში ესპანელთა მიერ. 1846 წლიდან ქალაქის სტატუსი გააჩნია, 1858 წლიდან კი დედაქალაქისა (700 000 - 1985 წ).

**მანადო** - ქალაქი-პორტი ინდონეზიაში, კუნძულ სულავესიზე. ჩრდილოეთ სულავესის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (275 000 - 1990 წ).

**მანამა** - ბაჰრეინის დედაქალაქი. ქვეყნის მთავარი საზღვაო პორტი (120 000 - 1991 წ).

**მანაუსი** - ქალაქი ბრაზილიის ჩრდილოეთ ნაწილში. ამაზონასის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (1 000 000 - 1991 წ).

**მანდალაი** - ქალაქი მიანმაში, პორტი მდინარე ირავადიზე. ამავე სახელწოდების ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (540 000 - 1983 წ).

**მანდალგობი** - ქალაქი მონღოლეთში, შუაგობის აიმაკის ადმინისტრაციული ცენტრი (10 000).

**მანილა** (**Manila**) - ფილიპინების დედაქალაქი. დაარსებულია ესპანელთა მიერ 1571 წელს (დიდი მანილა - 9 000 000 - 1996 წ).

**მანისა** - ქალაქი თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამავე სახელწოდების ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი (160 000 - 1990 წ).

**მანისალესი** - ქალაქი კოლუმბიაში. კალდასის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი (330 000 - 1992 წ).

**მანტუა** - ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში, ლომბარდიის ოლქის შემადგენლობაში. ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (60 000 - 1985 წ).

**მაპუტუ** (**Maputo**) (1976 წლამდე ლორენსუ-მარკიში) - მოზამბიკის დედაქალაქი, პორტი ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე (990 000 გარეუბნები - 1991 წ).

**მარაკაი** - ქალაქი ვენესუელაში. არაგუას შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (350 000 - 1990 წ).

**მარაკაიბო** - ქალაქი ვენესუელეში, სულიას შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (1 200 000 - 1990 წ).

**მარაკეში** - ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ მაროკოში; ქვეყნის დედაქალაქი XVI-XVII საუკუნეებში (440 000 - 1982 წ).

**მარაში** - ქალაქი თურქეთის სამხრეთ ნაწილში. ამავე სახელწოდების ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი (210 000 - 1985 წ).

**მარი** - ქალაქი თურქმენეთში. ამავე სახელწოდების ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (100 000 - 1991 წ).

**მარსელი** - ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, ქვეყნის უდიდესი საზღვაო პორტი ხმელთაშუა ზღვის პირას. ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი (1 300 000 - 1990 წ).

**მასერუ** (**Maseru**) - ლესოთოს დედაქალაქი; დაარსებულია 1869 წელს (30 000 - 1986 წ).

**მასკატი** - ომანის დედაქალაქი, მდებარეობს ომანის ყურის სანაპიროზე (85 000 - 1990 წ).

**მაცუე** - ქალაქი იაპონიაში, სიმანეს პრეფექტურის ადმინისტრაციული ცენტრი (145 000 - 1990 წ).

**მაცუიამა** - ქალაქი იაპონიაში, კუნძულ სიკოკუზე, ეჰიმეს პრეფექტურის ადმინისტრაციული ცენტრი (450 000 - 1990 წ).

**მახაჩყალა** (1857-1922 წლებში პეტროვსკ-პორტი) - რუსეთის რესპუბლიკა დაღესტნის დედაქალაქი, პორტი კასპიის ზღვაზე (330 000 - 1999 წ).

**მბაბანე** (**Mbabane**) - სვაზილენდის დედაქალაქი, ხოხოს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (40 000 - 1986 წ).

**მედეა** - ქალაქი ალჟირში. ამავე სახელწოდების ვილაიას ადმინისტრაციული ცენტრი (85 000 - 1983 წ).

**მედელინი** - ქალაქი კოლუმბიაში. ანტიკიას დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი (1 600 000 - 1990 წ).

**მელბურნი** (**Melbourne**) - ავსტრალიის კავშირის დროებითი დედაქალაქი 1901 - 1927 წლებში (3 100 000 - 1990 წ).

**მემფისი** - ეგვიპტის უძველესი დედაქალაქი ძვ.წ.აღ. 28-23 საუკუნეებში)

**მექა** - ქალაქი საუდის არაბეთში. ჰიჯაზის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (620 000 - 1986 წ).

**მექნესი** - ქალაქი მაროკოში. ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (320 000 - 1992 წ).

**მეხიკო** (**Mexico City**) - მექსიკის დედაქალაქი 1821 წლიდან. მდებარეობს 2240 მეტრ სიმაღლეზე. დაარსებულია 1521 წელს ესპანელების მიერ აცტეკების ქალაქ ტენოჩტიტლანის ადგილზე. 1535-1821 წლებში ახალი ესპანეთის ვიცე-სამეფოს დედაქალაქი (10 000 000 - 1990 წ).

**მიდელბურგი** - ქალაქი ნიდერლანდში. ზელანდიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (40 000 - 1990 წ).

**მიდლსბრო** - ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისში. კლივლენდის საგრაფოს ადმინისტრაციული ცენტრი (145 000 - 1990 წ).

**მინსკი** - ბელორუსიის დედაქალაქი 1919 წლიდან. ცნობილია 1067 წლიდან მენესკის სახელით (1 700 000 - 1992 წ).

**მილანი** - ქალაქი იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში. ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. 1815-59 წლებში ლომბარდია-ვენეციის სამეფოს დედაქალაქი (1 400 000 - 1990 წ).

**მიშკოლცი** - ქალაქი უნგრეთში. ბორშოდ-აბაუი-ზემპლენის მედიეს ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი (190 000 - 1992 წ).




თუ გინდა, რომ დაგაფასონ, მოკვდი!

იტალიური ანდაზა

იმ ადამიანისათვის, ვისაც მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს, ყველაზე დიდი საშინელება საკუთარ თავთან მარტო დარჩენაა.

ბლეზ პასკალი

ეგოისტი ქალი თვლის, რომ მამაკაცები მისთვის არიან შექმნილნი, ალტრუისტ ქალს კი მიაჩია, რომ თავად არის შექმნილი მამაკაცებისთვის.

უცნობი ავტორი

სიძულვილის ეშინია მხოლოდ მას, ვინც ამას ისახურებს.

ფრანსუა ლაროშფუკო

როცა ვინმეს სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლს, ეს იმის დასტურია, რომ შთამომავლობას მისი ხსოვნის იმედი არ გააჩნია.

არტურ შოპენჰაუერი

ეგოისტი სვამს კითხვას: „რატომ უნდა შევქმნა რამე შთამომავლობისთვის, როცა მას ჩემთვის არაფერი გაუკეთებია?!“

კოზმა პრუტკოვი

სიყვარული საამო უგნურებაა, პატივმოყვარეობა - სახიფათო სიბრიყვე.

სებასტიან შამფორი

დიდი ადამიანი, როგორც წესი, საკუთარ თავს თავად ღუპავს.

ბენჯამინ ფრანკლინი

ხალხის თვალში ჩვენ ბევრად მეტ პატივისცემას დავიმსახურებდით, რომ ვიყოთ ისეთები, როგორებიც ვართ და არა ისეთები, როგორებიც გვინდა, რომ ვიყოთ.

ფრანსუა ლაროშფუკო

ფრთხილად იყავით სულის პირველი ამოძრავების წინაშე, რადგან ეს, როგორც წესი, კეთილშობილებითაა შობილი.

ტალეირანი

უფრო ხშირად დიდი ნაწილი ამარცხებს საუკეთესო ნაწილს.

ტიტუს ლივიუსი

არაფერია ისე ამაზრზენი, როგორც უმრავლესობა.

იოჰან-ვოლფგანგ გოეთე

თუ თქვენ შენიშნეთ, რომ უმრავლესობის მხარეზე ხართ, ესე იგი დროა, შეიცვალოთ.

მარკ ტვენი

ის, ვის მხარეზეცაა უმრავლესობა, ყოველთვის საზრიანი და ჭკვიანია.

ბანჯამინ დიზრაელი

ბიუროკრატია რაღაცით ჰგავს თევზაობას იქ, სადაც თევზი არ არის.

სირილ პარკინსონი

დაფნის გვირგვინმა შეიძლება ფესვები გაიდგას თავში.

სტანისლავ ეჟი ლეცი

პესიმისტი ხედავს სირთულეს ყველა შესაძლებლობაში, ოპტიმისტი ყველა სირთულეში ხედავს შესაძლებლობას.

უინსტონ ჩერჩილი

მხოლოდ ხელოვნურ ყვავილებს ეშინიათ წვიმის.

ივან კრილოვი

ჩვენი პატარა ცოდვების აღიარება სხვა არაფერია, თუ არა დიდი ცოდვების შენიღბვის მცდელობა.

ფრანსუა ლაროშფუკო

ვაი იმას, ვისაც აქვს ჭკუა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე არ გააჩნია.

სებასტიან შამფორი

სჯობს, იმსახურებდე პატივისცემას და არ გაგაჩნდეს ის, ვიდრე იყო პატივსაცემი დაუმსახურებლად

მარკ ტვენი

შეგახსენებთ, რომ ვამზადებთ „ფანტაზიის“ აფორიზმების დიდ კრებულს, რომელსაც პირობითად „სიბრძნის კაკოფონია“ ვუწოდეთ. გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ამგვარი სათაურის შესახებ.

*დასაწყისი იხილეთ*
*11 მაისის სამშაბათის „ფანტაზიაში“*

სამეფო აკადემიაში ვივიან მერი ჰარტლი 17 წლის ასაკში ჩაირიცხა, მანამდე კი ორი წლის განმავლობაში, მონასტერში მიღებული განათლების კვალობაზე, ჯერ იტალიის ქალაქ სან-რემოში და შემდეგ პარიზში მოწყალების დის სტატუსით იყო მივლინებული. უნდა ითქვას, რომ ყმაწვილქალს განათლებას მართლაც ვერავინ დაუწუნებდა; ეს მონასტრის დამსახურებაც იყო და მისი პირადი მცდელობის შედეგიც, რასაც, რა თქმა უნდა, ბუნებაც უწყობდა ხელს, ყოველივე ამან კი შედეგად ის გამოიღო, რომ ქალიშვილობაში გადამდგარი ვივიანი თავისუფლად ლაპარაკობდა სამ ენაზე — ინგლისური, გერმანული, ფრანგული — და ამ ენებზე არსებულ დიდ ლიტერატურასაც შესანიშნავად იცნობდა. ასეთ ინტელექტუალურ წარჩინებულობას კი ერთვოდა ის ფანტასტიური მშვენიერება, რაშიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ყველა ღირსება ერთად იყო თავმოყრილი და რაც, რაღა თქმა უნდა, მის ირგვლივ თაყვანისმცემელთა მთელ არმიას ქმნიდა. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, არც თავად იყო იმის უარმყოფი, რომ ცხოვრების ყველა სიამე, და პირველ რიგში სიყვარული, რაც შეიძლება სწრაფად განეცადა...

1932 წელს....

ვივიენი აკადემიის თანჯგუფელებთან ერთად ლონდონში სეირნობისას მხედრების ჯგუფს გადაეყარა. ერთი ამ მხედართაგანი გოგონებს მიუახლოვდა და ვივიანის მეგობარ ქალიშვილს მიესალმა. ვივიანი შეუცნობი შურით აღივსო.

— ვინ არის? — ჰკითხა მან მეგობარს.

— ჰერბერტ ლი ჰოლმანი — უპასუხა ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე მეგობარმა — ხომ კარგი ბიჭია?

— ეს ნამდვილი ინგლისელია! მე მისი ცოლი გავხდები! — სრული პასუხისმგებლობით დაასკვნა ჯერ კიდევ ვივიან მერი ჰარტლიმ.

— მაგრამის ჩემი საქმროა?!

— მე ეს არ მაინტერესებს — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ვივიანმა — ის ჯერ არ მიცნობს მე!

...ასეც მოხდა — ექვსი თვის შემდეგ ლი ჰოლმანმა და ვივიან ჰარტლიმ იქორწინეს.

...ზუსტად ორი წლის შემდეგ კი სხვა რამ მოხდა — უკვე ვივიენ ლიმ (ლი სწორედ ჰერბერტ ჰოლმანის „ჩანართი სახელია“, ვივიანი ვივიენად კი ერთი რეჟისორის დაჟინების გამო გარდაიქმნა) ლონდონის სამეფო თეატრის სცენაზე იხილა 27 წლის ამომავალი ვარსკვლავი ინგლისური სცენისა ლოურენს ოლივიე და თანმხლებ მეგობარს ჩასჩურჩულა:

— აი, კაცი, რომლის ცოლობასაც ვნატრობ!

...ამ სურვილის ასრულებას კი მთელი ექვსი წელი მოანდომა ვივიენ ლიმ.

...ამ სურვილმა მას საკუთარი ბიოგრაფია წაართვა და ოლივიეს ცხოვრების შემადგენელ ნაწილად აქცია.

* * *

ახლა ძნელია იმის თქმა, უყვარდა თუა არა ვივიენს ქმარი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ განშორების შემდეგაც არ წყვეტდა მასთან მეგობრულ ურთიერთობას. ცნობილია ისიც, რომ ჰოლმანი მეტად მკაცრი მეუღლე იყო, ვივიენს ზედმეტად სახლიდან გასვლის ნებას არ რთავდა, ქალიშვილის შეძენის შემდეგ კი საერთოდ მიატოვებინა აკადემიაში სწავლა, თუმცა მშობიარობამდე რამდენიმე თვით ადრე მაინც მოახერხა ჟანა დ'არკის როლი ეთამაშა ბერნარდ შოუს პიესაში.

...მშობიარობა ძალზე მძიმე აღმოჩნდა, ბავშვი ერთი თვით ადრე დაიბადა და ვივიენს სამი კვირის განმავლობაში მოუხდა საავადმყოფოში ყოფნა.

— ბავშვს აღარასოდეს გავაჩენ! — განუცხადა ვივიენმა ახლობლებს — ეს საშინელი რამ არის!

ასე გაცხადდა ყველასათვის საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად, რომ ვივიენი ოჯახური ცხოვრებისათვის არ იყო მოვლენილი ქვეყნად.... მისი ცხოვრების სანუკვარი ოცნება სცენა გახლდათ!




ჰოლმანი, როგორც ნამდვილი ინგლისელი, ცოლისაგან პედანტურ მორჩილებას და მეურნეობის გაძღოლას ითხოვდა. როგორც კი სიტყვა თეატრზე ჩამოვარდებოდა, ქმარი ხანგრძლივი ლექციების კითხვას იწყებდა და ხელოვნების მავნე ზემოქმედების დამტკიცებას ცდილობდა. ვივიენი კი — ახალგაზრდა, ჭკვიანი, ფართო განათლების მქონე ქალი - ცხოვრების გატარებას დიასახლისის რანგში არ აპირებდა.

ერთხელ ვივიენმა (სრულიად მოულოდნელად!) ვიღაც დამწყები პროდიუსერისგან კინოში გადაღების მიწვევა მიიღო და მან ქმარს საკითხი ასე დაუყენა:

ან გადაღება ან გაყრა!

....ქმარმა ამ შემთხვევაში პირველად დაიხია უკან, რადგან მიხვდა, რომ ეს კაპრიზი კი არა, რაღაც უფრო სხვა, უფრო დიდი მოვლენა იყო.

ფილმი სულელური კომედია აღმოჩნდა თავქარიანი გოგონების შესახებ, რომელშიც ვივიენს ერთი პატარა ეპიზოდი უნდა ეთამაშა, სადაც მას ევალებოდა, რომ სკოლის დირექტორისთვის ენა გამოეყო და თავხედურად ეთქვა: „თუ სკოლიდან გამრიცხვათ, მამაჩემი სამსახურს დაგატოვებინებთ“-ო. ეს დიდი ვერაფერი როლი გახლდათ, მაგრამ ვივიენი იმდენად სერიოზულად მოეკიდა მას, რომ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ამ ფილმში მონაწილეთაგან მხოლოდ მისგან აიღეს ინტერვიუ და გაზეთში დაბეჭდეს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე მსახიობთა ცხოვრებაში, ეს ინტერვიუ შემთხვევით ხელში ჩაუვარდა სხვა პროდიუსერს, რომელიც იმედისმომცემ მსახიობებს დაეძებდა მთელ ინგლისში და ერთი ასეთთგანი სწორედ ვივიენში დაინახა.

- მე თქვენი მეუღლისაგან ვარსკვლავს შევქმნი! - პირობა მისცა პროდიუსერმა ჰოლმანს.

- მე კი არ მოგცემთ იმის უფლებას, რომ ჩემი ოჯახის მყუდროება დაარღვიოთ! - უპასუხა ქმარმა.

...ვინმეს ეგონებოდა, ვივიენის აზრს არავინ უწევსო ანგარიშს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შორს იდგა ჭეშმარიტებისაგან, რადგან ვივიენმა (იმ პროდიუსერის ხელშეწყობით) თავად დაიწყო საკუთარი თავისგან ვარსკვლავის შექმნა. იგი არ აცდენდა არცერთ თეატრალურ პრემიერას, დაიარებოდა მოდურ კლუბებსა და რესტორნებში იმ იმედით, რომ მომხიბლავ ახალგაზრდა ქალს ვინმე ავტორიტეტული პროდიუსერი დაადგამდა თვალს.... და ასეც მოხდა! — ვივიენი კიდევ ერთ კომედიაში მიიწვიეს, შემდეგ ინგლისელი კლასიკოსის ჯორჯ პირსონის პიესაში უფრო დიდი როლიც შესთავაზეს და ეს უკვე წარმატების გარანტია იყო, თუმცა წარმატებას მხოლოდ ნიჭი არ ქმნის... ამისათვის უზადო სილამაზე, ადამიანური ხიბლი და შრომისმოყვარეობაცაა საჭირო, რასაც ნამდვილად მოჭარბებულად ფლობდა ვივიენ ლი - კინოს მომავალი ლეგენდა.

დაიწყო აღიარებისაკენ სვლა, რასაც ქმრის გაღიაზინების მატება სდევდა თან, თუმცა ეს სულ არ აწუხებდა ვივიენს, რადგან მას ერთადერთი რამ აღელვებდა - არ გამოეტოვებინა არცერთი სპექტაკლი ლოურენს ოლივიეს მონაწილეობით; ამ უკანასკნელს კი უკვე ფართოდ ჰქონდა შეღებული დიდების ჭიშკარი.

ვივიენის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა: მას თავს დააცხრნენ პროდიუსერები, მაგრამ ძირითადად თავქარიანი გოგონების როლებს სთავაზობდნენ, რაც ამბიციებით შეპყრობილ ახალგაზრდა მსახიობს, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდა. მალე სერიოზული შემოთავაზებაც გამოჩნდა, ოღონდ თეატრიდან და ეს სახელოვანი თეატრალური კოლექტივი „ამბასადორი“ გახლდათ.

....ვივიენ ლი პრემიერის დღესვე გახდა ვარსკვლავი! ....ცენტრალური გაზეთების მტკაველისოდენა სათაურები იუწყებოდნენ: „ახალმა ვარსკვლავმა ლონდონი დაიპყრო!“

...ჰოლმანს კი სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ სამუდამოდ გამოსთხოვებოდა ოცნებას მშვიდ ოჯახურ იდილიაზე.

იმხანად ვივიენი მხოლოდ 22 წლის იყო, ლოურენს ოლივიე - 28 წლის გახლდათ...

ორ ვარსკვლავს თავად ბედისწერამ მოუჭრა გზა — ისინი ერთმანეთს უნდა შეხვდროდნენ!...

## გასული ნომრის იტალიური კროსვორდები


10


11


12


13

# გასული ნომრის პასუხები












**მეორე გვერდი**

1. ლანდო. 2. ალექსიძე. 3. დიგა. 4. მერსედესი. 5. სიკო დოლიძე. 6. დღეს. 7. სტურუა. 8. ებრაელები. 9. ალალე. 10. ვიკონტი. 11. ბრეიგელი. 12. აკვედუკი. 13. ჯერმი. 14. ალსუ. 15. ელბერდი. 16. ხულო. 17. ცვრიანი. 18. სერვეტი. 19. ლიძავა. 20. ამალთეა. 21. კომბინაცია. 22. ულტიმატუმი. 23. ვითომ. 24. მძევალი. 25. ახმეტელი. 26. გლ0ლა. 27. ჭიაურელი. 28. ცხონებული. 29. შტეინი. 30. ტაქსა. 31. აფსუა. 32. აგერ. 33. ინალიფა. 34. იაჰუ. 35. სნოუ. 36. ვეჟო. 37. სტეინიცი. 38. რუსეთუმე. 39. სიმულაცია. 40. პოლისი.

**მეოთხე გვერდი**

1. ესტამპი. 2. სვირინგი. 3. არკადი რაიკინი. 4. პერუ. 5. მაღრიბი. 6. არიოსტო. 7. რიყე. 8. ბორდიური. 9. აპარტეიდი. 10. ინტერნაციონალი. 11. ჯაბუა. 12. პრეისკურანტი. 13. ყურშა. 14. რაინდი. 15. სერსო. 16. ფიგუ. 17. არსად. 18. ვაგნერი. 19. ერგი. 20. ბრონტოზავრი. 21. რაბინოვიჩი. 22. სამარცხვინო. 23. ვივიპარია. 24. სამშობლო. 25. ტელეკომი. 26. ხარკი. 27. მოგვარეები. 28. ომსკი. 29. იშხანი. 30. მაშინ. 31. შტამპი. 32. ზერო. 33. ძირა. 34. კები. 35. ჯაზი. 36. რაიკომი. 37. მორავია. 38. პარაზიტი.

**მეხუთე გვერდი**

თარაზულად: 1. ლოპესი. 4. ჰამლეტი. 7. პლატონი. 14. პერგამენტი. 15. ვლადიკავკაზი. 17. სტოპერი. 18. კლონდაიკი. 19. აგრა. 23. სუნა. 24. სპეტაკი. 25. პიონერი. 29. ბოქლომი. 30. ჩალმა. 31. ადლერი. 35. როდარი. 36. პრიმუსი. 37. ჰადსონი. 41. ლეპტოპი. 42. კლონირება. 43. ტრიო. 47. აკაი. 48. ოსასუნა. 49. უნისონი. 53. ოსტატი. 54. შოვკოვსკი. 55. ალბენა. 58. ამბიცია. 59. არარატი. 60. ავზი. 64. ბარქაია. 65. ბურთი. 66. პლანეტა. 71. კუცი. 72. ანატოლი. 73. ჭიანური. 77. ნატურა. 78. კლინიკური. 79. მიოპია. 82. აზიმუტი. 83. კანდიდატურა. 87. მაგნატი. 88. კარანტინი. 89. ოსტი. 93. რეტი. 94. ინტერნატი. 95. ფონოთეკა. 96. ობიანი. 97. პითია. 98 პენიცილინი.

შვეულად: 1. ლაპი. 2. პურიტანი. 3. სკალპი. 5. აუტი. 6. ტალონი. 8. ლოკოკინა. 9. ტივი. 10. ნიანგი. 11. მეტროპოლი. 12. იდეალიზმი. 13. ფილატელია. 16. ბლოკი. 20. მსახური. 21. სტუმარი. 22. ბრადისი. 26. ჭოგრიტი. 27. ლავსანი. 28. სეინერი. 32. ადრესანტი. 33. სმოლენსკი. 34. ბარბოსი. 38. ეპოსი. 39. კრონეკერი. 40. კორონაცია. 44. მამონტი. 45. ასტორია. 46. ბნელი. 50. სტომაქი. 51. ქვირითი. 52. სერვეტი. 56. მილიონი. 57. სტალონე. 61. ლანცეტი. 62. დუბლინი. 63. ანარქისტი. 67. ოკინავა. 68. სტილეტი. 69. მითრიდატე. 70. კაკაო. 74. დრეზინა. 75. აკვანავტი. 76. სპორტსმენი. 80. სმეტანა. 81. ადანსონი. 84. სარტრი. 85. რაუნდი. 86. დინარი. 90. ერბო. 91. ცელი. 92. როქი.

**მეშვიდე გვერდი**

1. ხარკამეჩი. 2. ნიმფომანია. 3. ფეხმძიმობა. 4. კლეოპატრა. 5. მტლაშამტლუში. 6. მიყვარხარ. 7. დუენია. 8. ექვსპენსიანი. 9. კონსულტაცია. 10. მამოგრაფია. 11. მთვარე. 12. როტონდა. 13. სარაფანი. 14. ცდუნება. 15. გორილა. 16. ლელუში. 17. პომპადური. 18. ჩადრი. 19. გინეკოლოგია. 20. პაპასკირი. 21. ფინანსური.

**მერვე გვარდი**

1. ნასტასია. 2. კურაპალატი. 3. ლიბია. 4. ინგრიდ. 5. ნილსენი. 6. ურმია. 7. მხარბეჭიანი. 8. ბაკურიანი. 9. დიტრიხი. 10. თბილელი. 11. ატლასი. 12. რობესპიერი. 13. ესმა. 14. დელონი. 15. რეა. 16. პომადა. 17. პროვოკატორი. 18. კაპადოკიელი. 19. იუსტინიანე. 20. ორგია. 21. მეტრონომი. 22. დილიჟანსი. 23. იზა. 24. ხეივანი. 25. იმამი. 26. სახურავი. 27. ულმანი. 28. მარიკა. 29. გრეტა. 30. სტამბოლი. 31. ტერა. 32. ოსლო. 33. მონიტორი. 34. კრინოლინი. 35. ამარეტო.













ინდ.საწარმო „ნატალია ბერიკიშვილი“ („ფანტაზია-2000“)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304 ტელეფონები: 79-53-70, 76-68-02, (877) 45-19-80
რედაქტორი ალექსანდრე ელერდაშვილი





# შემდეგი ნომერი გამოვა 21 მაისს

ჩვენი მდინარე (6)
თმის სალებავი (5)
(.......) გურიელი (5)
აფრიკ. ქვეყანა (6)
ცეკვა (5)
აკვნის ნაწილი (6)
ევროპის მდინარე (5)
ესა თუ ის სფერო (5)
ამოკითხეთ ფრაზა
წავედით! ძვ.თბილის. (4)
(........) დეშამპი (5)
(.........) გრიგოლია (4)
ზღაპრის გოგონა (6)
(........) ერისთავი (7)
ნახატიანი ქვა (5)
ჩიტს აქვს (4)
ძვ.სომხეთი (5)
ვიეტნამის ქალაქი (5)
ძვ.პოლანდ. ფული (7)
სითხის საზომი (5)
აფხაზეთშია (4)
ძვ.თავსაბურავი (4)
ნორმიდან გადახრა (9)
სიბრძის საზომი (5)
საზღვაო ოფიცრის ჩინი (5)
რა არის ისტორია? (7)
გარდაბნის რ-ნ სოფელი (5)
სიტკბოება (5)
რუსთავის ექა (7)
სადა, მუქი სამოსი (5)
გამოუწვავი აგური (5)

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლას-შია | 4 | ხაფანგი | 4 |
| „(.....) და მისი ძმები“ | 4 | ნიდერლანდის ქალაქი | 5 |
| სულის ღაფვა | 6 | საშენი ქვა | 4 |
| ჭაშნიკი | 4 | სახაშე მცენარე | 5 |
| (........) სეთური | 6 | იალქანი | 4 |
| ჭრილობა | 4 | (......) საკი | 5 |
| კანოე, ბაიდარა | 4 | თავდასხმა | 7 |
| ქუთაისის უბანი | 8 | | |
| სტალინი ბავშვობაში | 6 | რელსი | 8 |
| XX საუკუნის ერთ-ერთი სექს-სიმბოლო | 5 | | |
| თევზის მახე | 4 | ევროპის ქვეყანა | 8 |
| ზარმაცი და უშნო | 6 | | |
| პარიზის მდინარე | 4 | ცრემლდაღვრილი | 8 |
| ამ რაოდენობის | 6 | | |
| გამოუცდელი კაცი | 5 | მსახიობი მურმანი | 7 |
| მარტივი | 6 | | |
| ხეობა ქართლში | 5 | | |
| მექსიკელთა არაყი | 6 | | |
| ჭამის სურვილი | 4 | | |
| კუთხე ჰორიზონტთან | 7 | | |
| (.........) გიორგის ასული ფერაძე | 6 | | |
| დიდი სიცხე | 7 | | |
| ლუის კეროლის ლიტ. გოგონა | 5 | | |




მომავალ შეხვედრამდე